საქართველო

7464-01-2-201603041556

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/7464
04/03/2016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

თქვენი 2016 წლის 30 დეკემბრის N 01/100630 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შრომის, სოციალური უსაფრთხოებისა და დასაქმების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების პროექტს, გაცნობებთ, რომ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩომ 2016 წლის 26 თებერვლის N 2016/89769977-Tiflis BE/10568906 ნოტით გვაცნობა, რომ თურქეთის მხარისთვის მისაღებია აღნიშნული შეთანხმების წარმოდგენილი სახით ხელმოწერა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით, გთხოვთ, გვაცნობოთ „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შრომის, სოციალური უსაფრთხოებისა და დასაქმების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმომწერი პირის კანდიდატურისა და ამ შეთანხმების ხელმოწერის თქვენთვის სასურველი ადგილისა და თარიღის თაობაზე.

პატივისცემით,
ირინე ბართაია

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი